ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დილა

სექტემბერ-ოქტომბერი 1997 წელი




ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

F 343
1997



ილია ჭავჭავაძე

* ანთოლოგია *

## ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის მირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს, თურმე, არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის, თურმე, მის მწვანეს
ვერც სიცხე და ვერც ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან.

ამბობენ, - თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ -
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

იქნებ, აკვანში ის ერმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას,
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას,
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ერმას პირველ მიაწვდის
თვის მუმუს მადლით ცხებულსა!



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

1997

# ეკლესია - ღვთის სახლი

## საუბარი ღვთისმსახურების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა ჩარკვიანი

F-6427

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ეკლესიის შესახებ, მაგრამ უამრავი რამ დაგვრჩა სათქმელი. მოდით გავაგრძელოთ ეს საუბარი.

ეკლესია ასრულებს ღვთისმსახურებას. რა არის მსახურება? მსახურება არის სხვისთვის რაღაცის კეთება. მსახურება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. შეიძლება, ჩვენ ძალით გაგვაკეთებინონ ის, რაც არ გვინდა. ან შეიძლება რაიმე დაგვავალონ და გასამრჯელოც გადაგვიხადონ. ამ შემთხვევაში ჩვენ ვალდებულები ვიქნებით, დავალება შევასრულოთ.

მაგრამ მსახურება შეიძლება სულ სხვაგვარიც იყოს. აი, მაგალითად, გაიხსენეთ საკუთარი მშობლები. მათი ცხოვრების მთავარი საქმე არის თქვენზე ზრუნვა. ამ საქმის კეთებას მათ არავინ აიძულებს და არც არავინ არ უხდის ამისთვის გასამრჯელოს. ისინი საკუთარი ნებით გზრდიან, გივლიან, გიფრთხილდებიან, გიცავენ, გასწავლიან, გეფერებიან და ეს იმიტომ, რომ უყვარხართ. სიყვარულით მსახურება არის ყველაზე მთავარი და ყველაზე ნამდვილი საქმე.

ეკლესიაში სწორედ ასეთი, სიყვარულის მსახურება სრულდება.



გთავაზობთ მინიატურას
„ქრისტეს ამაღლება“
XVI საუკუნის ხელნაწერი გულანიდან

ღვთისმსახურება ნიშნავს, რომ უპირველესად სწორედ ღმერთი ემსახურება ადამიანს. ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ, შეგვიქმნა სამყარო, მოგვცა გონიერება, თავისუფლება, სიყვარულის უნარი, უკვდავება... ადამიანი კი განუდგა ღმერთს და საკუთარი სიამოვნებისათვის ცხოვრება აირჩია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ღმერთისაგან განდგომას ცოდვა ჰქვია. ცოდვამ კი ადამიანს დაუკარგა თავისუფლება. იგი გახდა საკუთარ სიამოვნებათა და სიკვდილის მონა. ისევ ღმერთმა უშველა ადამიანს - მან მიიღო ადამიანის სახე, იქცა კაცად, რომლის ცხოვრებაც სხვაზე ზრუნვის, თავდადების, სიყვარულის მაგალითია. იესო ქრისტე ასწავლიდა ხალხს ჭეშმარიტ, ე.ი. ნამდვილ ცხოვრებას, კურნავდა ავადმყოფებს, ბრმებს, ხეიბრებს, აღადგენდა მკვდრებს, ადამიანებმა კი ის სასიკვდილოდ გასწირეს - ჯვარს აცვეს. მაგრამ ქრისტემ დაამარცხა სიკვდილი, მკვდრეთით აღდგა და ამით ჩვენც გაგვათავისუფლა სიკვდილის მონობისაგან. მოგვიპოვა სასუფეველი, მოგვცა მადლი, ე.ი. ძალა და სიხარული იმისა, რომ გავხდეთ ღმერთის მსგავსები. იესო ქრისტეში შეერთებულია ღმერთი და ადამიანი, ამიტომ ქრისტეს საშუალებით ჩვენ, ადამიანები, ვუერთდებით ღმერთს.

ახლა ისევ ღვთისმსახურებას დავუბრუნდეთ. ყველაზე მთავარი საეკლესიო ღვთისმსახურება არის წირვა. წირვა საღლესასწაულო წვეულებაა - იესო ქრისტე ყოველ ჩვენგანს იწვევს საერთო ტრაპეზზე (ტრაპეზი სუფრას ნიშნავს), პურობაზე, სადაც ღვინითა და პურით გვიმასპინძლდება. რატომ მაინცდამაინც ღვინითა და პურით?

სახარებაში ნათქვამია, რომ საკუთარი ჯვარცმის წინ, ქრისტემ თავისი მოწაფეები შეკრიბა, აიღო პური, „განტეხა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ხორცი ჩემი, თქუენთვის მოცემული; ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა“. ასევე აიღო ღვინო და უთხრა: „ესე სასმელი - ახალი სჯული სისხლისა ჩემისაი თქუენთვის დათხეული“. ე.ი. პური

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

და ღვინო არის ქრისტეს ხორცი და სისხლი, ანუ ეს არის მსხვერპლი, რომელიც ქრისტემ ჩვენთვის გაიღო. მან ხომ ისე შეიყვარა ადამიანები, რომ საკუთარი სიცოცხლე გასწირა მათთვის, საკუთარი სისხლი დაღვარა.

„მე ვარ პური ცხოვრებისა“ - ამბობს მაცხოვარი. რატომ ადარებს თავს ქრისტე პურს? თქვენ იცით, რომ ადამიანს უჭმელ-უსმელად ცხოვრება არ შეუძლია. პური არის ჩვენი მთავარი საკვები. ვინც ამ პურს შეჭამს, - ამბობს უფალი თავის თავზე - მას აღარ მოშივდებაო. რას ნიშნავს ეს სიტყვები? ჩვენ ყოველდღე და დღეში რამდენჯერმე ვჭამთ იმიტომ, რომ შიმშილის გრძნობა გვიჩნდება. ადამიანის სხეულის გარდა, კვება მის სულსაც სჭირდება. ღმერთის გარეშე მცხოვრები ადამიანი სულ დაუკმაყოფილებლობას განიცდის, ის ვერ იკმაყოფილებს სულიერ შიმშილს. ხოლო, ვინც ღმერთთან ერთად ცხოვრობს, გრძნობს, რომ იპოვა ის, რასაც ეძებდა, რომ ამაზე მეტს ვერც ინატრებდა, რადგან მიიღო ყველაზე მთავარი ღვთიური საკვები - ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი სიყვარული, ღმერთის სიყვარული.

ადრე ქრისტიანებს ეკლესიაში თავისი დაწურული ღვინო და თავისი მოყვანილი პური მიჰქონდათ. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი მისი სიცოცხლისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საკვებსა და სასმელს ღმერთსა სწირავს და ამით მისი სიცოცხლეც შესაწირად იქცევა. ე.ი. ამით მორწმუნე ადამიანი გამოხატავს, რომ მზად არის იცხოვროს სხვისთვის; თუ ეკლესიური ენით ვიტყვით - მზად არის იცხოვროს მოყვასისათვის, ღმერთისათვის, ისევე - როგორც იცხოვრა ქრისტემ. თუ ღმერთი ემსახურება ადამიანს, მით უფრო, ჩვენ, ადამიანებს, გვევალება ერთმანეთის დახმარება, ერთმანეთის წუხილისა და სიხარულის გაზიარება.

ადამიანებისაგან გაღებული შესაწირი ეკლესიის ლოცვითა და სულიწმინდის მადლით შეუერთდება ქრისტეს გაღებულ მსხვერპლს. ეკლესიაში ღმერთიცა და ადამიანიც სწირავენ მსახურების, თავდადების, სიყვარულის, ლოცვის მსხვერპლს. ამიტომ ჰქვია ამ ღვთისმსახურებას წირვა.

ლოცვაზე და მის ძალაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. წირვისას ჩვენ ლოცვებში ვიხსენიებთ ყველას - ცოცხლებსა და გარდაცვლილებს, მორწმუნეებსა და ურწმუნოებს, ჩვენს ახლობლებს და მტრებს, ავადმყოფებსა და გაჭირვებულებს, მოხუცებსა და ბავშვებს, სამღვდელოებასა და ხელისუფლებას თუ უბრალო ადამიანებს, რათა ღმერთმა ყველას მისცეს ძალა - ბოროტების დამარცხებისა, სიხარული - ღმერთთან ერთად ცხოვრებისა.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესაწირის შესახებ. ღვისმსახურების დროს ჩვენ ღმერთთან მიგვაქვს მადლიერების შესაწირი. ჩვენ ვმადლობთ ღმერთს ყველაფრისათვის - იმისათვის, რომ მოგვანიჭა სიცოცხლე და გვყო ღირსი გავხდეთ მისი მსგავსები, რათა ვიცხოვროთ მასთან ერთად...

წირვის ბოლოს ყოველ მორწმუნეს უფლის [illegible] ანუ სუფრიდან დაურიგდება ღვთიური საკვები [illegible] იღებს, ქრისტეს ნაწილი, ქრისტეს თანაზიარი ხდება, ამიტომაც ჰქვია ამ სადღესასწაულო პურობას ზიარება, ე.ი. გაზიარება ქრისტეს ცხოვრებისა, მონაწილეობა ქრისტეს ცხოვრებაში.

ვინც მხოლოდ მიწიერი საკვებით იკვებება, ის მხოლოდ მიწიერ არსებად რჩება. ე.ი. მას ისევ შეაწუხებს შიმშილი - დაუკმაყოფილებლობა, და ბოლოს მასზე სიკვდილი გაიმარჯვებს, ხოლო ვინც ღვთაებრივ საკვებს, ზეციურ პურს იღებს, თანდათან გარდაიქმნება, განახლდება, ღმერთს მიემსგავსება და ღვთის მადლით, ღვთის მსგავსად დაამარცხებს ცოდვასა და სიკვდილს.

წირვაში მთელი სამყარო მონაწილეობს. ადამიანებისა და ღმერთის გარდა აქ ანგელოზებიც იმყოფებიან. ისინიც ეზიარებიან უფალს, ოღონდ არა პურითა და ღვინით, არამედ მხოლოდ სულიერად. ანგელოზები ხომ მხოლოდ სულიერი არსებანი არიან, მათ სხეული არ გააჩნიათ.

ყველაფერ ამიდან გამომდინარე, ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ წირვა არის ზეცისა და მიწის შეხვედრა, ადამიანისა და მთელი სამყაროს შეერთება ღმერთთან.

ღმერთთან შეხვედრას კი განსაკუთრებული მომზადება სჭირდება. გაიხსენეთ როგორ ვემზადებით ხოლმე ადამიანებთან შესახვედრად - აუცილებლად გავსუფთავდებით, დავიბანთ და ყველაზე ლამაზ ტანსაცმელში გამოვეწყობით. ქრისტესთან შესახვედრად კი აუცილებელია სულიერი განწმენდა. სულს აჭუჭყიანებს ცოდვა. მისი ჩამობანა, მისგან გათავისუფლება კი სინანულით შეიძლება. სინანულს აქვს განწმენდის ძალა. თუ ჩვენ მართლა ვინანიებთ ცოდვებს, მაშინ უნდა ვაღიაროთ ისინი ღვთისა და ადამიანის - მოძღვრის წინაშე. საკუთარი ცოდვის აღიარებას დიდი ძალა, დიდი ვაჟკაცობა სჭირდება. უფალი ამას დაგვიფასებს, გვაპატიებს და ჩვენი სული გახდება ნათელი, სიხარულით აღსავსე, გახდება ისეთივე სუფთა, როგორც სადღესასწაულო სამოსელი. სწორედ ასე შეიძლება შეხვდე ღმერთს.

და, მართლაც, რა შეიძლება ისურვო ამაზე მეტი - თვით ქვეყნიერების შემოქმედი ღმერთი გვეპატიჟება, რათა გაგვიმასპინძლდეს ზეციური საკვებით, რათა გავხდეთ მისი ცხოვრების თანაზიარნი, გავხდეთ მისი ოჯახის - ეკლესიის წევრები. გავხდეთ მისი შვილები.

ვმადლობთ ღმერთს ყველაფრისათვის!



მხატვარი ნუგზარ გიგაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ აბულაშვილი

## ერთობა

საბა, ლევანი, გიორგი,
ლადო, ზაზა თუ ვეფხია -
ტარიელ-ავთანდილივით
ერთურთს რომ გადაეხვია, -
მაშინვე გაქრა, მოისრა
მუხას რომ მუმლი ეხვია;
მათი ძმობა და ერთობა
ქაჯთა ციხისთვის მეხია...
სულ მტვრად აქცევენ,
რაც დუშმანს
დაუქად-დაუგვეხია.



მურმან ჯგუბურია

## ცირუ ხატავს

ცირუ ზის და სურათს ხატავს:
ეჰარება ჩიტებს კატა.
რადგან ცირუ მსუნაგ კატას,
ვიცი, ჩიტებს არ გაატანს.
მაშინ ცირუ რატომ ხატავს
სურათს, სადაც ჩიტებს კატა
ეჰარება, თუკი კატას
ჩიტებს მაინც არ გაატანს!



მაია წიკლაური

* * *

ციცქნა გოგოს, ცუნცულასა,
დედა მომცემს კუმკუმასა.
ამოვიტან წყაროს წყალსა,
მწყურვალს ვასმევ - ვიზამ მადლსა:
სულ პირველად - უმცროს ძმასა,
მერე კიდევ - უფროს დასა.
„გაამოსო“ - ვეტყვი ტკბილად,
კარგი სიტყვა შვენის ქალსა.



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბრეშუმის კარავი ხავერდის ხალიჩაზე



ნუნუ ქადაგიძე

არ დაუჯეროთ თუ ვინმე გეტყვით, ზღაპრიდან სინამდვილეში გადმოსვლა შეუძლებელიაო.

უამრავი მაგალითი არსებობს, როგორ გვესტუმრებიან ხოლმე ზღაპრების გმირები. ერთ-ერთს სწორედ ახლა გიამბობთ.

ჩვენი სტუმარი სულ პაწია, ციცქნა გოგონაა. მას ყვავილების ფურცლებზე უყვარს მოკალათება, რათა შემდეგ ზღაპრულმა უფლისწულმა იპოვოს. სახელად ნამცეცა ჰქვია. ალბათ გეცოდინებათ, ვისაც ზღაპრების კითხვა გიყვართ.

ნამცეცა მთვარიან ღამეს გვესტუმრა იმ იდუმალ უჩვეულო არსებებთან დროს გასატარებლად, სავსემთვარეობის დროს რომ უყვართ გამოსვლა. ისე გაერთო მათთან თამაშით, ვერც კი გაიგო, ღამე როგორ გაილია. ანდა როგორ არ გაერთობოდა, მწვანე ტყის ბინადარი არსებები გვერდიდან არ შორდებოდნენ, გულით ხარობდნენ ამ მშვენიერი პაწია გოგონას სტუმრობით. ისეთი ლხინი და დროსტარება გაჩაღდა, წითელთვალება ბუს ნადირობა დაავიწყდა მათ ჭვრეტაში.

მაშინღა მოვიდა გონს ნამცეცა, როცა იდუმალი არსებანი თანდათან გაუჩინარდნენ, ისინი ხომ მხოლოდ ღამით ჩანან. თურმე უკვე რიჟრაჟი დაწყებულიყო.

- მთვარე უკვე ჩავიდა, როგორღა დაბრუნდები ზღაპარში! - გადაიხარხარა ბუმ, წითელი თვალები დააბრიალა და საკუთარ ბუდეს მიაშურა გამოსაძინებლად. მიფრინავდა და ბუზღუნებდა, თქვენი გადამკიდე მშიერი დავრჩიო.

მაგრამ ნამცეცა ოდნავადაც არ დაბნეულა, მაშინვე ყვავილების საძებრად გასწია, რათა მათ რბილ ფურცლებზე დაესვენა და საღამომდე გამოეძინა. საღამოს მთვარე ამოვიდოდა და ვერცხლისფერ ბილიკს გაუბამდა ზღაპრისკენ. სწორედ მთვარის სხივებს გამოჰყვა ნამცეცა, როცა სინამდვილეში გადმოსვლა მოიწადინა და ცხადია, უკან იმავე გზით უნდა დაბრუნებულიყო.

სად იყო და სად არა, დილის ნიავმაც ჩამოიქროლა და თან მოიტანა ყვავილთა ნაზი სურნელი.

- ჩქარა, ჩქარა! ყვავილები სწორედ შენ გელოდებიან, -ააჩქარა ნიავმა ნამცეცა და წინ გაუძღვა. მალე ულამაზეს ყვავილოვან ველზე ამოყვეს თავი. მათი დანახვისას ყვავილები ერთხმად ატოკდნენ და აშრიალდნენ.

- მოდი, ნამცეცა, ჩემთან დაისვენე, - ეპატიჟებოდა ვარდი და კოკრებს შლიდა.

- ჩემთან მოდი, მე უფრო კარგად დაგარწევ, -შეჰღიმა ყაყაჩომ. -ხომ იცი, ნიავი მუდამ მეთამაშება.

- გირჩევნია ჩემთან მოხვიდე. ნახე, რა დიბა-ატლასი მოგიმზადე, - ოქროს ფურცლები ცხვირწინ აუფრიალა ნარგიზმა.

- დაანებეთ თავი. ნამცეცამ უკეთ იცის, ვისთან უნდა მივიდეს. -ჩაილაპარაკა შროშანმა. თავდაჯერება არ აკლდა ამ ნათქვამს, თუმცა შეშფოთებაც იგრძნობოდა.

ნამცეცამ თვალი გადაავლო ყვავილოვან ველს. შეყოყმანდა, აღარ იცოდა, რომელ ყვავილთან მისულიყო. ბოლოს არჩევანი ზამბახზე შეაჩერა.

- ზღაპარში რომ ვიყო, შროშანას ამოვირჩევდი. ზღაპრულმა უფლისწულმა ხომ სწორედ შროშანას ყვავილში უნდა მიპოვოს, მაგრამ რაკი სინამდვილეში ვიმყოფები, სხვა ყვავილს ამოვირჩევ, - თქვა და ზამბახს მიაშურა. სიხარულისაგან ათრთოლებულმა ზამბახმა მიწამდე დახარა თავი და ზღაპრის პაწია გმირმაც სულ ადვილად მოიკალათა მის ხავერდოვან ფურცლებზე. ზამბახის ფურცლებზე ის თავს შესანიშნავად გრძნობდა, ასეთ ხავერდოვან ხალიჩაზე ჯერაც არ დამისვენიაო, ამბობდა. მაგრამ მალე მზე ამოვიდა. მცხუნვარებამ შეაწუხა ზამბახის პაწია სტუმარი, დაძინებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.



- ძალიან ცხელა. სჯობს სხვაგან ვეძებო თავშესაფარი, - ჩაილაპარაკა ნამცეცამ და მოემზადა ხავერდოვანი ფურცლებიდან დაბლა ჩამოსაცურებლად. მაგრამ ზამბახმა ყური მოჰკრა მის სიტყვებს და ძალიან შეშფოთდა.

- ოღონდ ნუ მიმატოვებ და მშვენიერ კარავს გაგიმართავ, - შეჰპირდა და მაშინვე შეუსრულა დანაპირები: სამი ფერადოვანი ფურცელი მაღლა აიკეცა, რკალივით მოხარა და ყოველი მხრიდან დააფარა ხავერდოვან ფურცლებზე მოკალათებულ ნამცეცას. მართლაც მშვენიერი კარავი გამოვიდა.

აქ უნდა ითქვას, (საერთოდ, სათქმელი თავის დროზე უნდა ითქვას, თორემ ფასი სრულებით დაეკარგება), რომ მანამდე ზამბახს არ ჰქონია კარავივით მაღლა აკეცილი სამი ფურცელი, ექვსივე ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბლა გადმოშლილი ეფინა მწვანე ყლორტზე.

ნამცეცა კმაყოფილი დარჩა ზამბახის გულისხმიერებით, თუმცა შენიშვნა მაინც არ დაუგვიანა.

- სჯობდა, მეტი სინათლე ყოფილიყო შენს კარავში. რაც არ უნდა იყოს, დღეა.

- მაგასაც მოევლება, - თქვა ზამბახმა და პეპლებს უხმო საშველად. პეპლები ხომ მუდამ თავს ევლებიან ყვავილებს და იმ ყვავილოვან ველზეც მრავლად იყვნენ. ზამბახის და მისი პაწია სტუმრის ლაპარაკიც ესმოდათ და თვითონვე მიხვდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ: უნაზესი ფრთებით ხავერდოვანი ბუსუსები გადააცალეს კარავივით მაღლა აკეცილ ფურცლებს, რათა გამჭვირვალენი გამხდარიყვნენ და მეტი სინათლე გაეტარებინათ (ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ მანამდე ზამბახის ექვსივე ფურცელი ხავერდოვანი იყო).





მხატვარი ნანა იოსელიანი

ახლა კი ველარაფერი თქვა ჩვენმა პაწია ნებიერმა. ისღა დარჩენოდა, მოხერხებულად მოეკალათა ხავერდოვან ფურცლებზე და ტკბილად დაეძინა - მზის სხივები აღარ აწუხებდნენ, თავზე აბრეშუმის კარავი ეფარა.

ზამბახის ფერისცვალება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. უპირველეს ყოვლისა, ნიავმა იჩქარა გამოეთქვა თავისი აზრი.

- ეს უკვე ყვავილი აღარ არის, - ჩაიქირქილა მან, - ეს აბრეშუმის კარავია ხავერდის ხალიჩაზე.

- ნიავი მართალია. ჩვენი დაიკო ზამბახი მართლაც ხავერდის ხალიჩაზე გაშლილ აბრეშუმის კარვად იქცა. - აჩურჩულდნენ ყვავილები.

ზამბახს აინუნშიაც არ ჩაუგდია ეს მითქმა-მოთქმა. ისარივით გაჭიმულს მწვანე ღერო სწორად ეჭირა, რომ პაწია ნებიერ სტუმარს არ გაღვიძებოდა.

ნამცეცას მთელი დღე გულის ძილით ეძინა. მთვარის ამოსვლისას გაიღვიძა, გულითადი მადლობა შესწირა ზამბახს და ისევ დაუბრუნდა იმ ზღაპარს, საიდანაც მოვიდა. ყვავილებმა ფართოდ გაახილეს მოლოდინით აღსავსე თვალები. ეგონათ, ჩვენი საყვარელი დაიკო ისევ თავის ძველ ფორმას მიიღებსო, მაგრამ ზამბახს ეს ფიქრადაც არ მოსვლია. ისევ ის უცნაური, კარვის ფორმა შეინარჩუნა.

მირჩევნია კარვად ვიქცე, ოღონდ ნამცეცა გოგონამ ისევ ჩემთან დაიდოს ბინა, როცა კვლავ გვესტუმრება ზღაპრიდანო, - ასეთი პასუხი გასცა ყვავილებს.

ასე რომ, ზამბახს სამუდამოდ შერჩა უცნაური ფორმა - სამი გამჭვირვალე ფურცელი მაღლა აქვს აკეცილი, სამი ხავერდოვანი ფურცელი კი დაბლა ჩამოუშლია. წითელთვალება ბუმ პირველად რომ დაინახა აბრეშუმის კარვად ქცეული ზამბახი, ისე გაოცდა, მთელი ღამე თვალი არ მოაცილა და ისევ მშიერი დარჩა.

პეპლებიც კმაყოფილნი დარჩნენ - მათ სულ ფრთებზე დააცვივდათ ზამბახის ფურცლებიდან ჩამოწმენდილი ხავერდის ბუსუსები და ხავერდოვანი ფრთები გაუხდათ.

ზღაპრის პაწია გმირიც, როცა კიდევ ესტუმრება ხოლმე სინამდვილეს, მუდამ ზამბახის აბრეშუმის კარავში ისვენებს ხავერდოვან ხალიჩაზე. იქნებ თქვენც წააწყდეთ, როცა ზამბახის მოწყვეტას დააპირებთ.




მხატვარი ანა მგალობლიშვილი

ალექსანდრე დიდებაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნაცარქექია - ამირანს

ერთხელ კიდევ,
ერთხელ კიდევ,
გაიბრძოლე, ამირანო,
ხარბი სვავი განირიდე,
ჯაჭვის ყულფი გაიწყვიტე,
წამოდექი, ამირანო.
შეუძახე უსუპს, ბადრის:
მომეცით-თქო მხარი, ძმანო,
ეს ბობღია ბაყბაყები
ამ მიწიდან გავიყვანოთ!
თქვენთანა ვარ,
აბა, სდრუზეთ,
აგაბუქებ ნაცრის გუდას,
თვალს დავუვსებ
ბაყბაყუსებს,
ამ წვეტიან სადგისს ვჩხუტავ!
მათი მყრალი ნატერფალი
მოვაცილოთ საქართველოს.
გავატანოთ ფერდის ჭვალი,
ცხელმა კეცმაც ვერ უშველოს.

## ნაცარქექია ახლა გლეხია

ნაცარქექია
ახლა გლეხია.
ის დრო სად არის,
ქექოს ნაცარი.
მიწა ერთიან
მისახედია.
იქ ხვდება მზესა,
ხნავსა და თესავს,
ცელ-ნამგალს ლესავს,
მკისა და ლეწავს.
აბრუნებს წისქვილს
და მერე ცრის ფქვილს.
ზელავს და აცხობს...
სტუმარსაც აძლობს.





მხატვარი ლევან ხარანაული

ჯემალ ქირია

# ბევრი შოთიკო

პატარა შოთიკომ გაიღვიძა. ოთახში მარტო იყო. ცოტა ხანს იცადა, მაგრამ არავინ შემოსულა, არც დედიკო, არც მამიკო. უნდა გითხრათ, რომ პატარა შოთიკოს დედიკოს და მამიკოს გარდა ჰყავს ორი ბებია, ერთი პაპა და ერთი ბაბუკა. ერთი ბებია და ბაბუკა სხვა ბინაში ცხოვრობენ, მაგრამ სტუმრად ხშირად მოდიან. რა თქმა უნდა, ესენი ყველანი თავს ევლებიან, ეფერებიან, კოცნიან, სათამაშოებს და კამფეტებს უზიდავენ, ყოველნაირ სურვილს უსრულებენ და, რაც შეიძლება, ანებივრებენ. ეს იმიტომ, რომ ამოდენა სახლში მარტო შოთიკოა პატარა და აბა, სხვას ვის უნდა მოეფერონ!?

ახლა, მარტო რომ დარჩა, გაიბუსა. ეგ როგორ, ყველანი სხვა საქმით არიან გართული და შოთიკო, ეს ქვეყნის თვალი, მიავიწყდათ. დედიკო მაინც რატომ არ დაუდარაჯდა საწოლთან. გამოღვიძებულს ხომ უნდა მოჰფერებოდა, საალერსო სიტყვები ეთქვა და ლოყაზე ეკოცნა კიდეც. ცხადია, საწყენია, როცა დედიკოც გყავს, მამიკოც, ბაბოც, ბებიაც, პაპაც და ბაბუკაც, შენ კი გაიღვიძებ და ირგვლივ არავინ არის, არავინ გეუბნება ადე, ჩემო პაწაწინაო.

შოთიკო ლოგინიდან ჩამოფოფხდა, დედიკოს სარკესთან გაჩერდა. ეს სამკარედი კედელთან დგას. შუაში დიდი სარკეა. აქეთ-იქით კი ორი სხვა სარკეცაა ჩამოკიდებული. როცა გინდა, გასწევ და გამოსწევ... ჩაიხედა შოთიკომ და რას ხედავს: წინიდან შოთიკო შემოჰყურებს, საჩვენებელი თითი პირში ჩაუდევს; ერთ მხარესაც შოთიკო დგას და მეორე მხარესაც... ამ შოთიკოებსაც თითი პირში აქვთ და აქეთ-იქიდან უყურებენ.

– გცემ! –უთხრა შოთიკომ შოთიკოებს.

– გცე-ემ! –სამივემ ერთად უპასუხა.

– მე ღონიერი ვარ! –დაქადნებით თქვა შოთიკომ.

– მე ღონიერი ვარ! –არც ამათ დააყოვნეს პასუხი.

– დედიკოს ვეტყვი! –დაისლუკუნა შოთიკომ.

– დედიკოს ვეტყვი! –დაისლუკუნეს იმათაც.

შოთიკომ კარედებს ხელი ჰკრა, ჯერ ერთს, მერე მეორეს, და მიარახუნა. გვერდითა სარკეებმა შუა სარკე დაფარეს და სამივე შოთიკო დაიმალა.

შოთიკო საწოლში შებრუნდა, საბანი ყელამდე აიწია და გაისუსა. მიხვდა, რომ მარტო არ იყო, ამ სახლში ბევრი შოთიკო ცხოვრობდა და თუ თვითონ ყველაზე კარგი არ იქნებოდა, დედიკო სხვა შოთიკოებს მოეფერებოდა.

ამ დროს გაიღო კარი და დედიკომ შემოიხედა.

– გაიღვიძე, ჩემო პაწაწინა გულის ვარდო!

ბაბომ გამოსძახა თავისი ოთახიდან:

–გაგეღვიძა, ჩემო ქვეყნის თვალო!

სტუმრად მოსულმა ბებიამაც მიაწვდინა ხმა:

– შენ შემოგევლე, ჩემო პაწაწა!

მამიკო, პაპა და ბაბუკა უკვე სამსახურებში იყვნენ წასულები.

შოთიკო ახითხითდა. ჯერჯერობით სხვა შოთიკოები მას ვერ მოერეოდნენ.



მხატვარი ლევან ხარანაული

ლეილა ერაძე

## ვინ რა თქვა

ჩანთამ თქვა: ჩემი პატრონი
ბიჭია ერთობ უხეში,
ხან ფეხს გამკრავს და გამომკრავს,
ხანაც მიმაგდებს კუთხეში,
არ მიფრთხილდება ბიჭუნა,
ჩემთვის წამითაც არ იცლის...
წიგნები ხელით ატაროს,
ვინც ჩემი ყადრი არ იცის!

წიგნმა თქვა: - ჩემსა პატრონსა
არ ვახატივარ გულზეო,
უჩემოდ მისი ცხოვრება
მუდამ იქნება უმზეო.
ხელდაბანილი არ მფურცლავს,
როგორ ვიქნები სუფთაო,
მომივლის, - კარგად ისწავლის,
არა და, როგორც უნდაო!

რვეულმაც მხარი აუბა:
- ბიჭს სუფთა წერა არ უყვარს.
ფურცლები ააშრიალა:
- არ არის ჩემი საშველი,
ხანდახან მელნით მთხუპნის და,
ხანდახან მჩიჩქნის საშლელით.

კალამმაც დაიწრიპინა:
- პატრონს საქციელს ვუწუნებ,
მთელი ძალ-ღონით მაწებს და
- ფხაჭნისო! -მერე წუწუნებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ კობერიძე

## მომავალი ნიკალა



მთაზე, ხის ქვეშ ნიგოზის
ნაგაზი წევს, ნიკო ზის.
და სახით ტვინიკოსის
ხედებს ხატავს ნიქოზის;
ძაღლი თავს აკანტურებს,
ბიჭი მთებს აკონტურებს,
შვენის ქუდი გაზეთის,
ფუნჯებს ხმარობს გაზეთილს;

ეს სახლებია, ეს კი გზებია,
ეს ჯერჯერობით ესკიზებია.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

# ფალა-ვანი

## გასართობი ტესტი

*გთავაზობთ ტესტს, რომლითაც თვითონ შეძლებთ გამოს-ცადოთ საკუთარი გონებრივი შესაძლებლობები.*

ნოდარ ნიჟარაძე

იყო ერთი მეფე და ჰყავდა ერთი ფალავანი. ამ ფალავანს დევკაცა ერ-ქვა სახელად და მართლაც დევსა ჰგავდა: მთელ სახელმწიფოში მისი მომ-რევი არავინ იყო. სახე კაცისა ჰქონდა, ტანი კი დევს მიუგავდა და მასავით ხშირი ჯაგრითა ჰქონდა დაფარული.

მეფე ძალიან ამაყობდა თავისი ბუმბერაზი ფალავანით. ერთხელაც მან გამოაცხადა, ვინც ჩემს ფალავანს მოერევა, დიდძალ ოქ-როს ვუბოძებო. ცოტა ხანში სასახლეში შე-ჭიდების მსურველიც გამოჩნდა. უამრავი ხალხი მოზღვავდა ჭიდაობის საყურებლად. გაკეთდა წრე. შეერკინენ მოჭიდავენი. უეც-რად უცნობმა აიტაცა მეფის ფალავანი და ძირს დასცა. დამარცხდა დევკაცა, გამწარდა მეფე და უცნობის დაპატიმრება ბრძანა, მაგ-რამ ის აღარსად ჩანდა. მეფემ ვეზირებს უხ-მო და განუცხადა, თუ ერთი საათის განმავ-ლობაში უცნობის ვინაობას ვერ დაადგენთ, თავს წაგაცლითო. შეშინებულ ვეზირებს გა-ახსენდათ, რომ ქალაქში ჯადოქარი ცხოვ-რობდა და მისკენ გასწიეს. ჯადოქარმა მო-უსმინა ვეზირებს და უთხრა: თქვენ შეგიძლი-ათ თვითონ დაეხმაროთ საკუთარ თავს. ექვს წინადადებას მოგცემთ. თუ მრავალწერტი-ლების ნაცვლად სწორად ჩაწერთ გამოტო-ვებულ სიტყვებს, ხოლო შემდეგ ამ სიტყვე-ბის პირველ ასოებს თანამიმდევრულად ჩას-ვამთ უჯრედებში, წაიკითხავთ იმ უცნობის სახელსო.



| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცუდის საწინააღმდეგოა | | | | | | |
| მეფემ არ მისცა გამარჯვებულს | | | | | | |
| ცა ლურჯია ფოთოლი | | | | | | |
| მერია სოხუმში ცხოვრობს დათვი | | | | | | |
| კატის შვილია კნუტი ძაღლისა | | | | | | |
| მცენარე ბალახს ჰქვია | | | | | | |

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ნაზი თარგამაძე

# ნატვრა

მახსოვს ჩვენი სახლი,
სოხუმი და ზღვა,
სახლთან ზღვა, სულ ახლოს...
არაფერი სხვა.

მახსოვს კიდევ ზღვაში
ჩამავალი მზე,
არც მინახავს მეტად
ეს სილამაზე.

მახსოვს ბებოც, ბაბუც...
ჩვენ ვიყავით რვა,
დედა, მამა, მე და
ჩემი სამი ძმა.

მენატრება ბებოს
და ბაბუას ხმაც
- როდის ვნახავთ დედა?
მეუბნება: -„ხვალ“.

ხვალო, ხვალო, ხვალო,
მაიმედებ სულ...
სახლში დაბრუნება,
მე კი დღესვე მსურს!

მენატრება ჩემი
სოხუმი და ზღვა,
არაფერი არ მსურს,
არაფერი სხვა!



## რას ინატრებ ნატა?

- რომ აგიხდეს ნატვრა,
რას ინატრებ, ნატა?
- ნამდვილ სახლად იქცეს
რამდენ სახლსაც ვხატავ.

- ვის მისცემდი მერე
ამდენ ნამდვილ სახლებს?
- ვის და სულ ლტოლვილებ
ერთ დღეს შევასახლებ.

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

# ჭრა-კერვის გაკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო, ყველას ძალიან გიყვართ ლამაზი ტანსაცმელი, განსაკუთრებით კი გოგონებს. ოდითგანვე ქალები განთქმულნი იყვნენ ხელსაქმით: კერვით, ქარგვით, ქსოვით. თქვენ თვითონ რომ შეიკეროთ ლამაზი ტანსაცმელი, შემოგთავაზებთ კერვის გაკვეთილებს. დავიწყოთ ყველაზე იოლით - პერანგის შეკერვით.




## გოგონას ღამის პერანგი

ავიღოთ დაახლოებით 5 წლის გოგონას ზომები.

გულმკერდის წრეხაზი 60 სმ.

პერანგის სიგრძე 50 სმ.

ბავშვის ღლის პერანგის წინა და უკანა ნაწილები ტოლებია. ოღონდ წინა ნაწილი უფრო ღრმად არის ამოჭრილი.

აზომვა: გულმკერდის წრეხაზი - 60 სმ გავყოთ ორზე, ესე იგი თითო კალთას დასჭირდება 30 სმ. (60 სმ. : 2). მაგრამ შესაკერად უნდა მივუმატოთ 2-2 სმ. ამასთან ბოლოში კალთები უნდა გავაფართოოთ 6-6 სმ-ით.

ამოვხაზოთ ილლია (13 სმ) და გული - 8-სმ წინა კალთაზე და 6 სმ უკანა კალთაზე.

აჭრა: ავჭრით ამ ზომების მიხედვით.

შეკერვა: მივაკერებთ წინა და უკანა კალთებს ერთმანეთს და ბოლოებში ჩავაკერებთ მაქმანებს.

გაკვეთილი მიჰყავს
**მაყვალა იამანიძეს**



**ცირა ქიტიაშვილი**

### კაბა ჭრელი

მაკრატელი მქონდა მჭრელი,
გამოვჭერი კაბა ჭრელი,
ვქარგე, ვკერე და მანქანით
დავაკერე ცხრა მაქმანი.
შევურჩიე ექვსი ღილი
ოქროსფერად დაფერილი,
დავამშვენე ბაფთით კაბა,
შემოხედეთ ახლა, აბა -
ჩემი ძველი თოჯინა,
ახალს დაემჯობინა,
არ ვიცოდი, გეთაყვა,
მომღერალიც ყოფილა:

„მწვანეთვალება გოგონას
ჩალისფერი მაქვს თმებიო,
ახალი კაბა მიხდება
როგორც ჭეჭელას ფრთებიო,
სულ მშვიდობაში გაცვითე, -
შეუბნებიან სხვებიო.
მიხარია და ვიხტიალებ
თითის წვერებზე ვდგებიო,
დელი-ოდელას ვიმღერი
სარკეში ვიხედებიო“.

მხატვარი-მოდელიორი **თეა მიქაია**

# მუსიკის გაკვეთილი

ნოტებს სხვადასხვა გრძლიობა აქვთ: ნოტს, რომელიც თეთრია და გვერდზე ჯოხი არა აქვს, მთელი ნოტი ჰქვია. თეთრი, მაგრამ ჯოხიანი ნოტი - ნახევარია. ასეთივე შავი ნოტი მეოთხედია, ხოლო შავი, კუდიანი ნოტი კი მერვედია. მეთექვსმეტედს, მერვედში რომ არ აგვერიოს, ორი კუდი აქვს.

ჩვენს ნახატზე ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა დავთვალოთ თითოეული მათთაგანი:







## რა არის წერტილიანი ნოტი?

წერტილი ნოტის გრძლიობას აგრძელებს ნახევარი თვლით: თუ წერტილი ნახევრიან ნოტს უწერია, მაშინ მას თვლაში ემატება კიდევ ერთი მეოთხედი.

თუ, როგორც ჩვენს მელოდიაშია, წერტილიანი ნოტი მეოთხედია, მას თვლაში ემატება ერთი მერვედი.

ყველა მუსიკალურ ნაწარმოებს აქვს თავისი ზომა, რაც დაკვრისას საჭიროებს თვლას. ნოტები ერთმანეთისგან გამოყოფილია ვერტიკალური ხაზებით. მანძილს ამ ხაზებს შორის ტაქტი ეწოდება. მელოდიის ტაქტებად დაყოფა გვეხმარება თვლაში, თვლა კი რიტმის დაცვაში.

გასაღების გვერდით დაწერილია ზომის, ანუ სათვალავის მიმანიშნებელი ციფრები. 4/4 ნიშნავს, რომ თითო ტაქტში ოთხი მეოთხედია, ე.ი. ყოველ ტაქტში უნდა დავთვალოთ ოთხჯერ.

ახლა კი ჩვენი მელოდია დავუკრათ და თან დავითვალოთ:




მუსიკის გაკვეთილი მიჰყავს მარინე ქარციძეს. მხატვარი ნანა იოსელიანი



ოქროს საწმისის ამბავი
დიდი ხნის
წინათ შეიქმნა
თქმულებები
(მითები) ბუნე-
ბის ძალთა შე-
მოქმედ ღვთაებებზე, ძლიერებითა და სიქ-
ველით შემკულ გმირებზე... ერთ-ერთი ასე-
თი თქმულებაა ძველბერძნული მითი არგო-
პონტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ბერძენ გმირებს კარგად დახვდნენ და მშვიდობით გამოისტუმრეს, მაგრამ ზღვაში გასულებს საშინელი განსაცდელი დაატყდათ - კიზიკის მახლობლად მდებარე დათვების მთაზე მცხოვრებმა ექვსხელიანმა გოლიათებმა ლოდები და კლდეები მოგლიჯეს და დაუშინეს, რომ გზა ჩაეხერგათ მათთვის, მაგრამ ჰერკულესმა აქ უკვე თავისი მკლავის ღონე და მშვილდის ძალა გამოავლინა. სხვებიც ფარ-შუბებით შეიარაღდნენ და ისე ამოწყვიტეს გოლიათები, ერთიც არ დაუტოვებიათ.

შემდეგ ფრიგია მცირე აზიაში, სადაც მოგზაურებმა საკვებისა და სასმელი წყლის მარაგი შეივსეს.

და აი ბოსფორის სრუტეც - გასასვლელი ევროპასა და მცირე აზიას შორის, პროპონტიდიდან ევქსინის პონტოში. აქ კიდევ ერთი ფათერაკი უდარაჯებდათ მოლაშქრეებს - სიმპლეგადის საზარელი კლდეები, დროდადრო იხსნებოდნენ და შემდეგ საშინელი ძალით ეჯახებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის უნდა მოესწრო გავლა „არგოს“. არგონავტებს გაახსენდათ რჩევა - სიმპლეგადებს შუა მტრედი გაუშვით და თუ გაასწრო, იცოდეთ, თქვენც გაივლითო. ასეც მოიქცნენ და როგორც იქნა, თავი დააღწიეს ამ მრისხანე კლდეებს და მათ წინ გადაიშალა სტუმართმოყვარე პონტო.

ზღვა კი დახვდათ მშვიდი და სტუმართმოყვარე, მაგრამ ბითვინიაში შეჩერებულებს ვერც თუ სტუმართმყვარე მასპინძლები - ბებრიკები - შეეგებნენ. მათი მეფე, ამიკი ცნობილი იყო დევკაცური ძალღონით და მუშტი-კრივის უბადლო ოსტატობით. მან მასხრად აიგდო არგონავტები და ჩხუბში შესაჯიბრებლად გაიწვია. აქ იმარჯვა პოლიდევკმა და მოკლა ამიკი. არგონავტები დაერივნენ ბებრიკებს და კუდით ქვა ასროლინეს.

...ნაოსანთა შემდეგი გაჩერება იყო ქალაქი სინოპი. (სინოპი ერთ-ერთია იმ შვიდი ქალაქიდან, რომლებიც დიდი ბერძენი პოეტის „ილიადასა“ და “„ოდისეას“ ავტორის, ჰომეროსის მშობლიურ ქალაქობას ჩემულობდნენ; ის არის ბერძენი ფილოსოფოსის, დიოგენეს სამშობლოც - დიოგენესი, რომელიც უარყოფდა აღიარებულ წესებს, ამიტომ კასრში ჩასახლდა - ერთხელ ალექსანდრე მაკედონელი მისულა მასთან და უკითხავს, ხომ არაფერი გინდაო. მინდა ცოტა გაიწიო, რომ მზეს არ მიჩრდილავდეო).

შემდეგ ამისოსი. აქამდეც და უფრო შორსაც, ისტორიული საქართველოს ტომებზე - მოსინიკებზე, ხალიბებზე, კოლხებზე ვრცელდებოდა იმ დროს სინოპის ძალაუფლება (ახლა სინოპი თურქეთის ქალაქია).

უკვე ახლო იყო არგონავტების მიზანი, მათ ჩაუარეს ჭოროხის შესართავს და გამოჩნდა კავკასიონის მწვერვალები. არგონავტების თავზე შხუილით გადაიფრინა არწივმა, რომელიც კავკასიის მაღალ მთებზე მიჯაჭვული პრომეთეს (ამირანის) გულ-ღვიძლის საჯიჯგნად მიფრინავდა. აი, ფაზისის (რიონის) შესართავიც (ეს დღევანდელი ფოთის მიდამოებია). არონავტები აღმა აჰყვნენ მდინარეს და კოლხების მთავარ ქალაქს კუტაიას (ქუთაისს) მიადგნენ. როცა მეფე აიეტმა შეიტყო, რისთვის იყვნენ ჩამოსული ბერძენი ვაჟკაცები, საწმისისთვის იაზონს უმძიმესი დავალებების შესრულება მოსთხოვა. რომ არა აიეტის უმცროსი ქალიშვილი, ჯადოსნური მკურნალი, გრძნეული მედეა[2], რომელსაც პირველი დანახვისთანავე თავდავიწყებით შეუყვარდა ულამაზესი ვაჟკაცი იაზონი, არგონავტებს ალბათ მარცხი არ ასცდებოდათ. მაგრამ მედეას დახმარებით იაზონმა მოკლა ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი, მოიტაცა საწმისი და მედეასთან ერთად, თავისი „არგოთი“, გაექცა კოლხეთის მეფის მრისხანებას...

მოგვიანებით, იაზონმა უღალატა მედეას და კორინთოს მეფის, კრეონტის ასული შეირთო ცოლად. მედეამ სასტიკად იძია შური, ჯადოწამლებით მოაკვლევინა კრეონტიც და მისი ქალიშვილიც, ხოლო იაზონის მრისხანებას რომ არიდებოდა, შვილები ჰერას ტაძარში გადამალა.

არგონავტების და მედეას მითი ცოტა სხვადასხვანაირად არის გადმოცემული ბერძნულ და ლათინურ წყაროებში. სამაგიეროდ ყველა ეს ნაწარმოები გვამცნობს ქართველ ტომთა დასავლეთ გაერთიანების - კოლხეთის ბრწყინვალე ცხოვრებას; მოხსენიებულია კუტაია (ქუთაისი) და სხვა გეოგრაფიული ადგილებიც. მაგალითად, დიოსკურია - ქალაქი დღევანდელი სოხუმის ადგილას, რომლის ნანგრევებიც ზღვის ნაპირის დაწევის და ზღვის შემოჭრის გამო, ამჟამად სოხუმის ყურის ფსკერზეა. ანდა პიტიუნტი (დღევანდელი ბიჭვინთა).

ჩვენს რუკაზე აღნიშნული სხვა ადგილებიც ალბათ საინტერესო იქნება თქვენთვის. მეოტიდის ტბის (დღევანდელი აზოვის ზღვა) ნაპირას სახლობდნენ ცნობილი ამორძალები - მეომარი ქალები.

სკვითია - შავიზღვისპირა ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო. გათხრებით გამოვლენილია სკვითების შესანიშნავი ხელოვნება.

ანდა ისტროსი, დღევანდელი დუნაი, ევროპის სიდიდით მეორე მდინარე (ვოლგის შემდეგ).

ამ რუკით, ვფიქრობთ, ბევრი რამე შეიტყვეთ და ბევრი რამითაც დაინტერესდით. იქნებ თქვენ თვითონ მოიძიოთ ცნობები იმის თაობაზე, თუ რა გზით დაბრუნდნენ არგონავტები სამშობლოში და კიდევ რა ფათერაკები გადახდათ თავს.

ვინც უკეთესად მოგვითხრობს ამის შესახებ, დაჯილდოვდება ჟურნალ „დილის“ სამახსოვრო პრიზით. ამასთან ეს პასუხი გამოქვეყნდება ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში.

---

2. სხვათაშორის, მედეას სახელიდან წარმოსდგება მკურნალობის მეცნიერების - მედიცინის სახელწოდება.



დააკვირდით ამ ნახატს. იცინეთ და იოცნებეთ
ჩვენს პატარა ავტორთან ერთად.

ირაკლი გელეიშვილი
7 წლის

ლევან ბაბუხადია

მხატვარი ვაჟა ქურხული

# ერთი ყურცქვიტასა და ნაგაზის ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და არა იყო რა. იყო ერთი თოვლივით თეთრი კურდღელი და ნახშირივით შავი ნაგაზი. ეს კურდღელი შინაური იყო და ზრდილობითა და სიჭკვიანით ბევრად სჯობდა თავის ტყიურ წინაპარს, მაგრამ გამოცდილებითა და სიეშმაკით ოდნავადაც ვერ შეედრებოდა.

ყურცქვიტა კურდღელი და ყურებდაჭრილი ნაგაზი დიდი მეგობრობით ვერ დაიკვეხნიდნენ, მაგრამ არც ერთმანეთის მტერი ეთქმოდათ. ცხოვრობდნენ ასე, ჩვეულებრივი მეზობლებივით - კურდღელი თავისთვის დასკუპ-სკუპობდა დიდ, შემორაგვულ ეზოში, ძაღლი კი ერთთავად თივაზე იწვა, ზოგჯერ თუ ჩამოუვლიდა ეზოს დინჯი ნაბიჯით და დაიყეფებდა - ჰამ, ჰამ,- ესათ და უცხომ არავინ გაბედოს შემოსვლაო.

ამ ეზოში ერთი უზარმაზარი ცაცხვის ხე იდგა, რომელზედაც პატარა ბერიკას საქანელა ჰქონდა ჩამობმული. ო, კინაღამ მთავარი დამავიწყდა - ამ ეზოში ერთი პატარა ბერიკა-ბიჭი ცხოვრობდა, რომელსაც თავისი დიდი წინაპრის, სწორედ ამ ცაცხვის დამრგველი ბაბუის პატივსაცემად დაარქვა ეს ძველებური სახელი თანამედროვე სახელის ბაბუამ.

ჰოდა, ერთხელ, როდესაც ბერიკა სკოლაში წავიდა, ყურცქვიტამ დრო იხელთა, საქანელაზე შემოსკუპდა და ქანაობა დაიწყო. მალე სიმღერაც შემოსძახა:

რა კარგია საქანელა,
ვქანაობ და ვქანაობ,
აბა დელი, დელასა,
ჰარალალი, ჰარალოო!

- ჰამ, ჰამ! - შეჰყეფა ყურცქვიტას ცელქობით გაბრაზებულმა ნაგაზმა. ყურცქვიტას ისე შეეშინდა, კინაღამ საქანელადან გადმოვარდა, მაგრამ იმარჯვა, - სკუპ! და პირდაპირ ბოსტანში გადახტა. ახლა თვითონაც გაბრაზდა და კომბოსტოს დაუწყო ხრამუნი.

- ჰამ, ჰამ, ჰამ! - ახლა მართლა გაავდა ნაგაზი.

ამ დროს მეზობლის ერთი ციცქნა გოგო ხატია ბებიას ორღობეში გამოპარვოდა და მესერში იჭვრიტებოდა. გაავებული ნაგაზი რომ დაინახა, პატარა გული შეუფართქალდა და სახლისაკენ გაიქცა. ცალკე შიშითა და ცალკე წყენით გულმოსულმა კურდღელმა კი ბოსტნის უკანა ღობე გაარღვია და ქვევით მოუსვა.

ამ ეზოს ბოლოში, დიდი უღრანი ტყე იყო.

აი, აქ ვიცხოვრებ თავისუფლად, არავინ არაფერს დამიშლისო - გაიფიქრა ყურცქვიტამ და ბილიკს დაადგა. ხედავს, გზაზე ერთი ლამაზი მელაკუდა მოცანცარებს.

აი, ამასთან მეგობრობა კი ღირს, რა ლამაზია; აბა, ჩვენი ნაგაზივით უშნო კი არ არისო. გულში გაივლო ყურცქვიტამ და გამარჯობა ძმობილოო! - თვითონვე დაუძახა.

მელია ჩაფიქრდა: კარგად კი გაზრდილა და ჩაპუნტულებულა, მაგრამ ეტყობა ახლა ჩემს გაჟკაცობაზე იყოსო.

- გაგიმარჯოს, გენაცვალე, საით გაგიწევიაო? - დატკბა მელაკუდა.

- ნაგაზმა გამაბრაზა და ახალ მეგობარს ვეძებო. - თავის გასაჭირს მოუყვა კურდღელი.

- ან აქამდე როგორ გაძელი მაგ ბრაზიანთან, ჩემთან წამოდი, გასართობიც ბევრი გექნება და სახრამუნოცო! - შესთავაზა მელიამ.

კურდღელსაც ეს უნდოდა, სკუპ-სკუპით გაჰყვა მელაკუდას უკან.



ყურცქვიტა რომ აღარ გამოჩნდა, ნაგაზმა იფიქრა, რაიმე უბედურებას არ გადაეყაროსო და ტყეში წავიდა მის მოსაძებნად. მალე მელიის გეში აიღო და - ჰამ, ჰამ! - გამაფრთხილებლად დაჰყეფა.

ამ დროს მელაკუდას კურდღელი თავის სოროსთან მიეყვანა და შიგნით იმატიჟებდა. ძაღლის ხმა რომ გაიგონა, შეშინებულმა იფიქრა - კარსმომდგარი საკბილო არ დამეკარგოსო, ყურებში წვდა ყურცქვიტას და სოროში შეთრევა დაუწყო.

- ვაი, დედაა! რაც ძალი და ღონე ჰქონდა იყვირა კურდღელმა, უფრო იმიტომ, იქნებ ნაგაზმა გაიგონოს და მომეშველოსო.

ნაგაზიც წუთში გაჩნდა მელიის სოროსთან. შეშინებულმა მელიამ კურდღელს ხელი უშვა და სოროში მიიმალა.

- ჰამ, ჰამ, ჰამ! მეორედ არ გაბედო ასეთი რამეო. - ავად შეჰყეფა სოროში ნაგაზმა, დარცხვენილი კურდღელი წინ გამოიგდო და სახლისაკენ გამოსწიეს.

მას შემდეგ დაძმობილდნენ თოვლივით თეთრი ყურცქვიტა კურდღელი და ნახშირივით შავი ყურებდაჭრილი ნაგაზი. კურცქვიტა აღარ ცელქობს იმდენს, თავის მხრივ ნაგაზიც აღარ უშლის საქანელაზე ქანაობას. ჰოდა, როცა პატარა ბერიკა სკოლაშია, შემოსკუპდება კურდღელი საქანელაზე და მღერის ბედნიერად:

რა კარგია საქანელა,
ვქანაობ და ვქანაობ,
აბა დელი, დელასა,
ჰარალალი, ჰარალოო!


ეროვნული ბიბლიოთეკა

თინა ჭანტურია

## სოკო

ქუდიანი სოკო მქვია,
ტყეში წვიმის დროს ვიზრდები,
დევს ვჯობივარ ცხრათავიანს,
ათჯერ მომჭრა – მაინც ვჩნდები.

ნაზად მიხმობს მუდამ წვიმა,
მეც მოვდივარ ქოლგით ხელში,
ჩემთან მოდით, ვისაც გცივათ,
ავაცილოთ წვიმის თქეში.



მიხეილ ლანიშაშვილი

## აი, ბავშვიც ამას ჰქვია

აი, ბავშვიც ამას ჰქვია,
ეს ვინ დაგვბადებია! -
ჯერ აქამდე ამნაირად
არრა გამხარებია!

არ იკითხავთ რა მომხდარა,
ან რა გაჰკვირვებია
ბევრისმხილვევს, ბევრისმომსწრე
თმაჭაღარა ბებიას?

სოფლიდან რომ ჩამოსულა
და შვილიშვილს ხლებია,
ანა, თურმე, საკუთარი
ფეხით შეჰგებებია.



მხატვარი ნანა სანაია



**ზაურ ბოლქვაძე**

# ჩემო მიწავ!

დიდი იყავ... გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს, ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!

და რაც დაგვრჩი, - დაგვრჩი მარად,
დაგვრჩი ხორცად, დაგვრჩი ძვლებად;
დაღუპვისგან დაგვიფარავს
მარტო შენი დასიზმრება.

საქართველოს გეტრფით მთლიანს,
საქართველოს გეტრფით ახალს;
იცოცხლე და, სულ ერთია,
დიდი ხარ თუ პატარა ხარ!

უფრო მეტი დაგებედოს
ერის მშვენი, ენის მშვენი...
არ ჰყოფნიდეს აკვნებადაც
შვილთა შენთა ტყენი შენი!..

დიდი იყავ... გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს, ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!

***

მე პოეტი ვარ -
მიწა ვარ, ცა ვარ!..
მე პოეტი ვარ -
სივრცე ვარ,
დრო ვარ!..
მომენატრება სიკვდილი -
წავალ!..
მომენატრება სიცოცხლე -
მოვალ!


ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი ვაჟა ქურხული



## რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:

თეონა ბალანჩივაძეს. სანდრო გამსახურდიას.
ანა გვაზავას. გუგუ გვაზავას.
თათია გოგიბერიძეს. ნატო გოცირიძეს.
ნათია დანელიას. ნინო კოპალიანს.
ელენე მაღრაძეს. ქრისტინე ნიპარიშვილს.
იოანე პაპიაშვილს. დათო საჯაიას.
თათა ტერელაძეს. მიშიკო ფხალაძეს.
ნინო ქართველიშვილს.
დემურ (ბაჩუნა) ჩაჩანიძეს.
ნია წივწივაძეს. ბექა წივწივაძეს.
მარიამ ჭელიძეს.
თათი ჯანელიძეს.
გიორგი ჯაშს.
გიორგი ჯიქურაძეს.
თეა ჯულაყიძეს.
შოთიკო ჯულაყიძეს.

*მშობლების საყურადღებოდ!*
*თუ გსურთ თქვენი პატარა ჩვენს საზეიმო კარნავალზე მოხვდეს,*
*დაგვიკავშირდით სამი თვით ადრე,*
*რადგან ყოველგვარ ზეიმს თავისი მოსამზადებელი დროც ახლავს.*
*დაგვირეკეთ: 93 10 32*

შოთა ასანიშვილი

მხატვარი ნანა სანაია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დღე თიბათვისა

კახეთში თიბათვის შუადღეა.

სოფლის ბოლოს. შარაგზის ორსართულიანი ქვიტკირის სახლი დგას. სახლის წინ გზის გასწვრივ, გრძელ ეზოში ნორჩი ხეხილი უხარებიათ. მსხმოიარე მხოლოდ ერთი ძირი ატამია, ორიც - ვაშლი. ჰო, კიდევ - ღობის პირას ჩარიგებულ ოტურ ქლიავებს ხვინჭასავით ასხია.

ეზო, უპატრონობით, ბალახით არის სავსე. საქამრემდე წამოყელყელავებულა სიყვითლეში შესული შალაფა და ძურწა.

მარნის წინ, საჩეხში, პატარა ბიჭების გნიასი დგას. სულ უფროსმა, ძვალმსხვილმა, დაკოხილი გამოხედვით, შარვალიც გაიძრო, პერანგიც. ტანისამოსი იქვე ხის ძველ ტახტზე მიყარა, წითელი ტრუსის ამარა დარჩა, არც ფეხთ გაიჩერა რამე.

- შვილო, კედები ჩაიცვი, ან არაფერი შეგერჭოს, არ არაფერმა გიკმინოს.

- რას ამბობ, მამი? - გაიკვირვა ბიჭმა.

- გოდერძი, რო გეუბნებიან, ჩაიცვი, - დაუყვავა მამამ.

გოდერძიმ მამას ყური უგდო.

შუათანას, ოდნავ ფერმკრთალს, გამხდარ-აყლარწულს ფეხზე ძველი სანდლები ეცვა. ნაცრისფერ გაწყალებულ ტილოს შარვალში და ცისფერ მაისურში ჯანსუსტი სხეული მოუჩანდა. წაბლისფერ თვალებში მეოცნების შუქი ედგა.

სუ პატარა, თავგადახოტრილი, მოკლე შავ შარვალში, უჯრედებიან ძველ პერანგსა და ქუსლებმოცრეხილ ბათინკებში იყო გამოწყობილი.

სახლის გვერდით, შიფერით გადახურულ სათონეში ვეება კუნძზე და თონის პირზე ვარცლი გახარიხებით იდგა. ყმაწვილების დედა ვარცლში ცომსა ზელავდა. დროგამოშვებით ღიმილგარეული გაჰყურებდა ქმარშვილს.

ბალღების მამა ნაავადმყოფარი ჩანდა. სიყვითლეშეპარულ სახეზე წამოზრდილი წვერი ეკალივით ეყარა. მაღალ შუბლზე სქელი ქოჩორი უსწორმასწოროდ ჩამოშლოდა. შავ, დიდრონ თვალებში აშკარად სევდა იკითხებოდა. ძველი, ჩალისფერი პერანგი ტანზე ხალვათად ედგა. კაცმა პერანგის სახელოები აიკაპიწა, მხრებჩამოყრილი დაიძრა აშამბებული ეზოსაკენ. მარჯვენაში მოკლეპირიანი ცელი ეჭირა. ცელის კარგად აწყობილ პირს მზეზე ლაპლაპი გაუდიოდა.

ბიჭები მამის უკან რიგით გაიბაწრნენ. უფროსი ხელცარიელი მიაბიჯებდა. შუათანას მარჯვენაში პირაწყობილი ნამგალი ეჭირა. კოჟანდარას ხისგან გამოთლილი მოკლე ფიწალი გაედო მხარზე.

მამა ეზოს ბოლოში გავიდა, გაბოტილი შეჩერდა. მოკლეპირიანი ცელი მარჯვედ დაიკავა. ბიჭები გვერდით ამოუდგნენ. კაცმა ცელი სწრაფად მოიქნია, მოსხეპილი ბალახი გვერდზე მიწვა. მოუნაცვლა. მისუსტებული კაცი ცელს მსუბუქად იქნევდა. ოთხი მეტრის სვრელი სიგრძივ ძლივს გაიტანა. მაღალ შუბლზე ოფლმა წამოაყარა. უფროსმა ერთხანს უცქირა, როგორ მოხდენილად ხმარობდა ცელს, მერე:

-ეხლა გეყოფა - მიეჭრა მამას.

მამას გაეღიმა, ცელი შვილს გაუწოდა, თან დაარიგა:

- ცელი მიწის გასწვრივ გეჭიროს, ძალდაუტანებლად სწრაფად მოიქნიე.

გოდერძიმ მარჯვედ მოიგდო ხელთ ცელი, მთელი მონდომებით შემოუქნია ბალახს, ცელის წვერი პატარაზე წამოსდო მიწას, ბალახი მაინც მოსხიპა.

- წვერს ოდნავ აუწი, - უხსნიდა მამა.

გოდერძი ფიცხობდა, ყოჩაღობდა. მამას ამშვიდებდა.

- ნუ ჩქარობ, მალე დაიღლები.

- დავიღლები, არა - არ იჯერებდა გოდერძი.

მამა ღიმილს ვერ იკავებდა.

გოდერძის სუსტ ბეჭებზე თიბათვის მზე ეჯდა.

შუათანა, ჯანსუსტი მორიდებით შესცქეროდა ძმის მუშაობას.

- სანდრო, შენა, შვილო, ნამგლით ნამყენს ძირი შემოუთიბე. მერე კიდე, სადაც გოდერძი რიგიანად ვერ მიუდგება, ღობის ძირები ნამგლით გამოაკრიალე.

- ახლავე, მამი, - თქვა სანდრომ დ იქვე, ვაშლის ნამყენს ჩაუყუნტდა. მოუქნია გამოხშირებულ ბალახს ნამგალი, ადვილად მოსხიპა. ერთს რო გამოუთიბა ძირი, ახლა სხვას მიეჭრა, ისიც კოხტად გამოაკრიალა. სანდრო გამოთიბულში ყვავილებს ეძებდა. სხვადასხვა ფერის მინდვრის ყვავილებს სათითაოდ აქუჩებდა.

სუ პატარა, თავგადახოტრილი ლევანა ხის მოკლე ფიწლით ბალახის მოქუჩება-დაბულულებას მოჰყვა. დაცუცუნობდა პატარა კაცივით შუბლშეკრული, მთელი სერიოზულობით ირჯებოდა.

- სქლად ნუ აქუჩებ, მამის ოქროვ !

ლევანა შეჩერდა, მამას დიდკაცურად გახედა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

- ისე ზომიერად გაშალე, მზემ ადვილად რო ჩააჭკნოს. წვიმა თუ წამოუშენს, ვერაფერი დააკლოს, ვერც ჩაალპოს, ვერც ჩაახავსოს.

- მასე უზამ, მამი! - დააიმედა ლევანმა მამა, უფრო გულისყურით იწყო გათიბული ბალახის მოქუჩება.

პატარა ყმაწვილები დიდი კაცებივით ირჯებოდნენ. ყოჩაღობდნენ და ნაავადმყოფარ მამას სულში სიხარულის შუქს უყენებდნენ.

თიბათვის მზე სულ მაღალზე აწეულიყო ცად და ოქროსფერი სხივებით ავარაყებდა ნორჩი ხეხილის ბაღს.

თონეში ცომის ზელით გართული დედა დროგამოშვებით წამოიმართებოდა, მზერას გააწვდენდა თავის ბოკრებს, ყრუდ ამოიკვნესებდა: ,,დედა გაუქრეთ ჩემს ბიჭებს, არ დამესიცხნენ !" - გაიფიქრებდა, ისევ საქმეს მიუბრუნდებოდა.

სანდრომ მინდვრის ყვავილების პატარა თაიგული შეკრა, ერთხანს გაოცებული შესცქეროდა. მერე ერთბაშად სათონისკენ გაენთო, დედას მორიდებით გაუწოდა ფერადი თაიგული. დედა ყურადღების სიხარულით აივსო. სანდროს შუბლზე ეამბორა.

ნაავადმყოფარი, ჯანმიმდნარი მამა ოტური ქლიავის ჩრდილს შეფარვოდა, თავის პატარა ვაჟკაცების შრომას თვალს არ აშორებდა. გამოხედვაში სევდაგარეული ღიმილი ედგა. ,,ეხლა რაც გინდა ის მომსვლია, სადარდებელი არაფერია !" - გაიფიქრა კაცმა. თვალის ჭრილში ცრემლმა გამოჟონა.

საულვაშეზე ოფლის მარცვლებდაყრილი ბიჭები დასვენებაზე არ ფიქრობდნენ, ისე აპირებდნენ საქმის მომთავრებას.

უფროსს თორმეტი წელი შემოდგომაზე შეუსრულდებოდა.

კახეთის პატარა სოფელში თიბათვის თაკარა დღე იდგა!



მანანა კაკაჩია

## * * *

რა ჭკვიანი ვინმე არის,
დედიკონა, თუთიყუში.
სულ ყველაფერს იმეორებს,
რასაც ჩუმად ეტყვი ყურში.

გაკვეთილებს შევასწავლი
და წავიყვან ჩემთან კლასში,
მიკარნახებს, გაწითლებას
გადამარჩენს ამდენ ხალხში.

## კულტურული ბატკანი

ლევანიკოს ბაბუამ
მოუყვანა ბატკანი,
უცნაური ვინმეა,
აკრთობს ქათმის კაკანი.

ჩვენს ხბოს დაუმეგობრდა
მუდამ ერთად არიან.
საღამო ხანს ბოსლისკენ
ერთად მიუხარიათ.

ხბო როცა რძეს მიირთმევს
(რა თქმა უნდა, ჯიქნიდან)
ბატკანიც სვამს, ოღონდაც -
კულტურულად - ჭიქიდან.

მხატვარი ანა მგალობლიშვილი

ლუარა გორდიევიჩი
ფელიქს დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოდრიდან კოშკამდე...

## ეს რა საგანძური გვქონია!

ვაჟა ფშაველას პროსპექტის დასაწყისში აღმართულია მაღალი კოშკი, რომელიც მდიდარია უძვირფასესი საგანძურით, არ იფიქროთ ოქრო-ვერცხლითა და თვალმარგალიტით. არა და არა! ამ კოშკში ინახება დაუფასებელი საუნჯე საქართველოსი, ჩვენი ეროვნული საგანძური, უფრო ძვირფასი ვიდრე ოქრო-ვერცხლია და თვალმარგალიტი.



აქ, ამ შენობაში, საიმედოდ არის დაცული ყველაზე ძვირფასი, რაც კი საუკუნეების მანძილზე შეუქმნია ჩვენს წინაპრებს.

აქ დაუნჯებულია სიგელ-გუჯრები - შეუვალობის, სიმტკიცის, შეწირულობის, წყალობის სიგელები, ნუსხები; მეფეთა ბრძანებები და განკარგულებები; ხელნაწერ წიგნთა უნიკალური კოლექცია... აგრეთვე ეტრატზე დაწერილი X საუკუნის საგალობლები სანოტო ნიშნებით; მეფე გიორგი II-ის სიგელი (1072 წ.); დავით ალმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი (1123 წ.); სხივოსანი დედოფლის, თამარ მეფის სიგელი გელათის ღვთისმშობლისადმი (1188 წ.); XII საუკუნის ოთხთავი; XII-XIV საუკუნეების სახარებები; გულანები. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით გულანი „გულით სანდომად შეკრებილი წიგნია“. გულანი ორიგინალური ქართული კრებულია და არც ერთ სხვა ეკლესიას არა აქვს.

კოშკში ინახება ასიათასობით სიგელ-გუჯარი და სხვა დოკუმენტი IX საუკუნიდან 1921 წლამდე. ეს უმდიდრესი ფონდები ერთბაშად არ შექმნილა. ჯერ კიდევ ძველად არსებობდა სამეფო არქივები და ბიბლიოთეკები, ცალკეულ ფეოდალთა საგვარეულო არქივები და წიგნსაცავები, საბუთები ინახებოდა თითქმის ყველა ოჯახში.

ჩვენი ერის მამა, ილია ჭავჭავაძე იხსენებდა მძიმე ისტორიულ თავგადასავალს ქართველი ხალხისას, რომელიც, მისი სიტყვებით, „ორი ათასი წელიწადი იბრძოდა, ომობდა, სისხლსა ღვრიდა და თავის მხრივ კითხულობდა: „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძლვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა! ეს ერთი მუჭა ხალხი, თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“

ჩვენო პატარა მეგობრებო, დიდი ილიას მიერ დასმულ ამ კითხვაზე პასუხს ადვილად იპოვით, თუ მეტი გულისყურით მოეკიდებით მშობლიური ქვეყნის გმირული წარსულის, ჩვენი სიძველეთსაცავების - არქივებისა და მუზეუმის შესწავლას. მხოლოდ წარსულის საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებულ ადამიანს შეუძლია პირუთვნელად დააფასოს და გააცნობიეროს თავის ქვეყნის არა მარტო წარსული, არამედ დღევანდელობაც.

საქართველოს და ქრისტიანობის მტრები ძლიერ ცდილობდნენ გაენადგურებინათ არა მხოლოდ ბაღ-ვენახები, არამედ ტაძრები, მონასტრები, ეკლესიები და არქივებიც.

აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას ათასი ჯურის მტრის შემოსევებმა.

ბევრი რამ დაიღუპა და ისტორიისათვის სამუდამოდ დაიკარგა. მაგრამ მტერმა ყველაფრის განადგურება ვერ შეძლო. ჩვენს წინაპრებს საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით არაერთი ხელნაწერი წიგნი ცეცხლიდან და „ტყვეობიდან“ დაუხსნიათ. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი ხელნაწერის წარწერა: „მე ვაჩნაძემან როინის შვილმა, ბოქაულთუხუცესმა იორამ... მას ჟამსა, რომელსაც მეფე ბატონი სვიმონ ურუმთაგან დატყვევდა და ჩვენ ხონთქართან ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყუევებელ ვიპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ 80 ფლურად, მოვიტანეთ და შევწირეთ სუეტსა ცხოველსა...“



დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი ეტრატი

რა არის არქივი!

არქივი ლათინური სიტყვაა, და ნიშნავს ადგილს, სადაც ინახებოდა სახელმწიფო აქტები და დოკუმენტები.

ადამიანის მეხსიერება უძლურია შემოინახოს დიდი ხნის წინ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც დამწერლობამდე ლეგენდებში, თქმულებებში, მითებში და ზღაპრებში აისახა და ჩვენამდე მოაღწია. მაგრამ მათ აკლიათ სიზუსტე. ამიტომ შეიქმნა არქივი. დიდია მისი მნიშვნელობა ისტორიისათვის. იქ, სადაც გვღალატობს მეხსიერება, არქივი გვევლინება, როგორც კაცობრიობის მეხსიერების მნიშვნელოვანი რეზერვუარი.

ბიზანტიელი ჟამთაღმწერელი, იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსი, იურისტი და დიპლომატი პროკოფი კესარიელი გვაწვდის საინტერესო ისტორიულ ცნობას იმის თაობაზე, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში - ლაზიკაში არსებობდა სამეფო არქივი, სადაც ინახებოდა ორ ქვეყანას - ლაზიკასა და ირანს შორის ურთიერთობების ამსახველი საბუთები.

ცნობილია, რომ X საუკუნეში, როცა ქუთაისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი იყო, აქ არსებობდა სამეფო არქივი.

სხვადასხვა დროს საქართველოში სამეფო არქივს ეწოდებოდა საჭურჭლე, გოდორი, დავთარხანა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სამეფო და საეკლესიო-სამონასტრო არქივები შესაფერისად იყო მოწყობილი კარადებით, განჯინებით, თაროებით თუ კიდობნებით. ხელნაწერი საბუთები, - გრაგნილები - რომ არ დაზიანებულიყო, ინახავდნენ გოდორში. იმ პიროვნებას, რომელიც ამ საქმეს განაგებდა - მეგოდრე ერქვა. დღეს, იმათ, ვინც ამ ეროვნულ საქმეს ემსახურებიან, არქივარიუსები ჰქვიათ.

ძველად საქართველოში საარქივო მასალებს ეწოდებოდა: „სიგელი“, „დაწერილი“, „გუჯარი“, „წიგნი“, „ნიშანი“, პიტაკი“, „იარლუყი“, „ფარმანი“, „რაყამი“, „დავთარი“, „ბარათი“, „არზა“, „ოქმი“, „თამასუქი“ და სხვა.

და ბოლოს გვინდა ჩვენს პატარა მეგობრებს კიდევ ერთხელ შევახსენოთ დავით გურამიშვილის სტრიქონები: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, საცნობლად თავისადაო; ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“



## ხუთკუნჭულას ოინები

ბავშვებო, იმედია, ყველა იცნობთ ჭკვიანსა და მოხერხებულ ხუთკუნჭულას. მისი ოინებით შეწუხებულმა დევმა თავის ციხე-სიმაგრეს ძალიან ღრმა ოთხკუთხა თხრილი შემოავლო, რომლის სიგანე ყველგან ზუსტად ერთნაირი იყო.

ხუთკუნჭულამ მაინც მოახერხა გაღმა ნაპირზე გასვლა, თუმცა ორი ფიცრის მეტი არაფერი გააჩნდა, და თითოეული ფიცრის სიგრძე თხრილის სიგანის ზომისა იყო.

აბა, თუ გამოიცნობთ, როგორ განალაგა ხუთკუნჭულამ ეს ფიცრები თხრილზე და როგორ მოახერხა გაღმა ნაპირზე გადასვლა.



მხატვარი ნუგზარ გიგაური

რომანოზ დანელია

# გროვებად თვლა

ადამიანის გონების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევაა გროვებად თვლა, მანამდე რიცხვების აღსანიშნავად იყენებდნენ ანბანურ ნუმერაციას; რიცხვების აღნიშვნის რომაული სისტემა ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო. გროვებად თვლა კი პირველად ინდოეთში გამოიგონეს. ინდოელებისაგან გადაიღეს არაბებმა, ხოლო არაბებისაგან ევროპაშიც გავრცელდა.

სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ გლეხი ჩალას კონებად კრავს. ერთ კონაში (ძნაში) სიმინდის ათი ღეროა; კონებისაგან ის ზვინებს აკეთებს - ერთ ზვინში ათი კონა, ე.ი. სულ ასი ღეროა. თუ ვიცით, მოსავლის აღების შემდეგ გლეხმა რამდენი ზვინი და რამდენი კონა გააკეთა, და რამდენი შეუკონავი სიმინდის ღერო დარჩა, უცბად შეგვიძლია დავიანგარიშოთ სიმინდის ღეროების რაოდენობა. მაგალითად, თუ გლეხმა 3 ზვინი გააკეთა, კიდევ 2 კონა შეკრა და 1 სიმინდის ღერო შეუკრავი მორჩა, სულ მოუჭრია 321 ძირი სიმინდის ღერო. 3 ზვინში ხომ 300 ღეროა, 2 კონაში -20, დავუმატოთ მორჩენილი 1 ღერო, და მივიღებთ 321 -ს.

თქვენი აზრით, ზამთარში რამდენ დღეს ეყოფა დამზადებული ჩალა ერთ ძროხას, თუ გლეხი ყოველდღე თითო კონას აჭმევს მას?



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე



თამარ ჯავახიშვილი,
161-ე საშუალო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე



ალექსი ჯავახიშვილი,
161-ე საშუალო სკოლის
მე-4 კლასის მოსწავლე



## კრიმინალური ქრონიკა

გუშინ, მეოთხეკლასელმა დათომ მამიკოს მიცემული ფულით სასკოლო რვეულების შეძენის მაგივრად ხუთი ცალი „სნიკერსი" იყიდა და მარტომ შეჭამა...





ამას წინათ თბილისის საბურთალოს ერთ ეზოში მეხუთეკლასელმა კოტემ ღობეზე მიყუდებული ველოსიპედი პატრონის დაუკითხავად გაიტაცა და დიდხანს დააქროლებდა...



ორი დღის წინ მიშიკომ და გიორგიმ ლევანის სათამაშო მანქანა დამალეს (მოტორს ჩავაყენებთო, დაჰპირდნენ), და ნაწილები გადაყარეს. ხოლო როცა საქმეში ლევანიკოს დაიკო - ნინიკო ჩაერია, თოჯინა ბარბიზე ფლომასტერის ულვაშები მიუხატეს... ლევანი და ნინიკო თვლიან, რომ ვაიოსტატების - მიშიკოს და გიორგის საქციელი მშობელთა საბჭოზე განხილვის ღირსია...



## უბრალო ფოკუსი



ბოთლს თავზე დაადე შუაზე გადატეხილი ასანთის ღერი და ზედ - ხუთთეთრიანი. სცადე, ისე ჩააგდო მონეტა ბოთლში, რომ არც ბოთლს შეეხო, არც ასანთის ღერს და არც ხუთთეთრიანს. არ გამოდის? არადა, ადვილზე ადვილია. თითი დაისველე და ისე დაიჭირე, რომ ერთიორი წვეთი წყალი ასანთის ღერს გატეხილ ადგილზე დაეცეს. ღერი ნელ-ნელა გაიშლება და მონეტაც ბოთლის ფსკერზე აღმოჩნდება.



ქეთი კაპანაძე

დაეხმარეთ მატლს თავისი შვილის გამოყვანაში



გამოიცანი, რამდენი ფურცელი უნდა ჰქონდეს ყვავილს მე-4 ღეროზე. რამდენკოპლიანი უნდა იყოს მე-5 ყვავილის ფოთოლზე მჯდომი ჭიამაია. ახლა დახატე ყვავილი და ჭიამაია მე-6 ღეროზე. რამდენფურცლიანი უნდა იქნეს ყვავილი, რამდენკოპლიანი - ჭიამაია?

# კუკუ რუკუ




გრანდ პრიზი
საოცნებო პარიზი

მსოფლიოში
ყველაზე ცნობილი
ეკოლოგიურად სუფთა
ვაფლი
უამრავი საჩუქრებითა
და
სიურპრიზებით!






მილიონობით გოგონას საუკეთესო სათამაშო
„ბარბის" განუმეორებელი სამყარო
მაღაზია „ბარბი", თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №19
... და სხვა უამრავი ზღაპრული სათამაშო!



თანაბრად
გაუნაწილეთ

ბავშვებს
ხილი!

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ცირინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი,
მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30
გამოდის 1904 წლიდან
ყდაზე ნახატი ნანა იოსელიანისა
დაბეჭდილია ბულგარეთში გამომცემლობა «შერის» მიერ.
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი
ხელმომწერთათვის: 2 ლარი

